

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 71

2020



მთ. რედაქტორი

შარაბ ხოჭოლავა

მხატვარი, საქართველოს
მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-878-6 (71 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მონილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, შვაიცარიის იმპროს ვარსკვლავისა და მავიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზილენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამგანაც, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მგრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონიდებრი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიპისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიგად შესძი ყოველ შებას, ყოველ ძაბხას.“

ა. პუშკინი

გთავაზობთ, ამონარიდებს ვაჟა ეგრისელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ათასამდე ქართველ და უცხოელ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წიგნებიდან, სტატიებიდან, წერილებიდან:

ვაჟა პირველი – ფშაველა, ვაჟა მეორე – ეგრისელი, ვაჟა მესამე – ყუბუსიძე, ვაჟა მეოთხე – ჩორდელი, ვაჟა მეხუთე – ხორნაული”... „რია-რია“ 1993

სერგო წურწუმია – გენერალ-ლეიტენანტი, აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელი პლანეტის პოეტია და ამიტომ მსოფლიო ასტრონომთა ასოციაციის 2007 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით, როგორც ასტროლატრი პოეტის, ვაჟა ეგრისელის სახელი ეწოდა ახალ აღმზენილ ვარსკვლავს”...

ზაურ გოგოლაძე – ისტორიკოსი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი დიდი ქართველი პოეტის გარდა, დიდი საზოგადო მოღვაწეცაა”...

ზურაბ ბუგია – ბიოლოგი, პროფესორი: „... დღევანდელ საქართველოში არა მგონია იყოს მეორე ქართვე-



ლი პოეტი, ვისაც ვაჟა ეგრისელივით ემდეროს პრეისტორიულ და ისტორიულ კოლხეთისთვის, ე. ი. საქართველოსთვის”...

შალვა სიჭინავა – ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი: “... უაფხაზეთობა მე ვაჟა ეგრისელის პოეზიამ, განსაკუთრებით „კოლხურმა ფსალმუნებმა გადამატანინებ”...

ზურაბ აბრალავა – ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, მწერალი, პუბლიცისტი: „... ვაჟა ეგრისელი კოლხეთის სულიერების ციხის ქონგურზე მეციხოვნედ მდგარი, დიდი ქართველი პოეტია”...

შარაბ ხოჭოლავა – მხატვარი, სართველოს, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა”-ს აკადემიკოსი) „... რომ შეიძლებოდეს, ვაჟა ეგრისელის საოცარ ფერწერულ ლექსებს „დავხატავდი,” მზის ჩარჩოში ჩაგსვამდი და ქართულ ცაზე ჩამოვკიდებდი...”

ველოდი მირცხულავა – ისტორიკოსი, აკადემია „ქალდეა”-ს ნამდვილი წევრი: „... როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი წერს: გვარი – მირცხულავა „მურიცხებიდან“ – ვარსკვლავებიდან მოდის და დედის გენმა – ვაჟა ეგრისელი როგორც დიდი პოეტი ცის საიდუმლო-ებებს აზიარა...”

გახტანგ თორაძე – პროფესორი, აკადემიკოსი: „...



პრეისტორიული, ქრისტემდელი მადლი და რწმენა მეუფობს ვაჟა ეგრისელის ღვთიურ პოეზიაში, რადგან „მის შექმნაში თვითონ ქრისტეს, როგორც მამის თანაარს, თავისი წვლილი ჰქონდა შეტანილი...”

გია ქვაშილავა – მკაფევარი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელის ფიქრმიუწვდენელი შემოქმედება, ისეთივე საოცრებაა, როგორც ოთხიათასი წლის წინანდელი ფესტოსის დისკოზე „კოლხური ოქროდამწერლობით „ამოტვიფრული ქართული საგალობელი...”

ნარგიზ გოგია – ფილოლოგი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი: „... არა მარტო საქართველოს, დიდი ჩინეთის იმპერიასაც ეყოფოდა საამაყოდ ვაჟა ეგრისელის შემოქმედება (50 000ლექსი)...”

გულიკო გოგიტიძე – ფრანგული ენის პედაგოგი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი: „... მიხარია, რომ დიდი მოწონება ხვდა წილად საფრანგეთში ჩემი შვილის, ბაჩუკი ჩაბრაძის მიერ თარგმნილ ვაჟა ეგრისელის ბრწყინვალე პოეზიას. ”

მერი აბრამია – მწერალი, პუბლიცისტი: „... ბედნიერი ვარ.

ისე, როგორც დიდმა ილიამ ვაჟა-ფშაველას პირველი ლექსი დაბეჭდა „ივერიაში,” ასევე მე, ვაჟა ეგრისელის პირველი ლექსი დავსტამბე ხობის რაიონულ გაზეთ „სოციალიზმის მშენებელში...”



ნაპოლეონ ლემონჯავა – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი დიდი პოტენციის მატარებელი პოეტია. მისი პოეზიის ორიგინალობით სამართლიანად ამაყობს ქართული საზოგადოება...”

დავით ტაკიძე – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზია მითებს და ლეგენდებზეა ნაშობი. მისი შემოქმედება არის მეტაფორების ხეივანი, საიდანაც კოლხური ჩუმი-ნადველი მოისმის...”

რეზო ფაჩულია – აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელის ურიცხვ ვარსკვლავთა პოეზია, დროის ათვლას არ ემორჩილება. მისთვის სამყარო თავის საზომით არსებობს... ეგრისელის პოეზიას სამყაროსავით არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული...”

ანა ქველიძე – ლიტერატორი: „... ვაჟა ეგრისელის არა ერთი და ორი ლექსი, არამედ მთელი მისი პოეზია ვაჟა-ფშაველასეული მაღალპოეტური მეტაფორული აზროვნების ნიმუშია...”

კლიმენტი შელია – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზია, მსოფლიო პოეზიის ჩამოუცილებელი, თვითმყოფადი, უკვდავი ნაწილია, რომელიც მთელ ქოქას ქმნის...”



აპალონ ცანაგა – პროფესორი, კრიტიკოსი: „... ქართულ ლიტერატურაში ვაჟა ეგრისელის პოეზია ისეთივე ძალისხმევით შემოიჭრა, როგორც ლადო ასათიანის, შოთა ნიშნიანიძის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის ქმნილებები... ქართული ლიტერატურათმცოდნეობამ სერიოზული განხილვისა და მსჯელობის საგნად უნდა აქციოს ვაჟა ეგრისელის საოცრად თვით ნაბადი პოეტური სამყარო...”

მამანტი ძაძამია – პროფესორი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელი „კოლხური ფსალმუნებით“ არამარტო კოლხეთის, არამედ სრულიად საქართველოს დიდი მეფსალმუნე და ეპოქალური ფენომენია...”

ნანა ჭირაქაძე – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელის წმინდათა-წმინდა პოეზია – ხატებთან დანათებული სანთლების ლოცვაა...”

ჯემალ ხარებავა – პროფესორი: „... ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი”, აკაკი წერეთელის „განთიადი,” ვაჟა-ფშავლას „არწივი,” გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები” და ვაჟა ეგრისელის „შავლებო” – აი, ქართული პოეზიის ხელისხმელ საგოგმანები მარგალიტები...”



რუსუდან ხორავა – კომპოზიტორი: „... ვაჟა ეგრი-სელი თავისი უდიდესი შემოქმედებით ცალკე დგას განმარტოებით... ის სხვა ქვეყანაა...“

გულნაზ ხარაიშვილი – პოეტი: „შოთას, აკაკისა და გალაკტიონის გვერდით, სხვებზე ადრე მე მიგუ-ჩინე ბინა ვაჟა ეგრისელს.“

ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელის პოეზიაში საქართველოს (კოლხე-თის) შვიდიათასწლოვანი ისტორიაა ჩაკირული...“

ომარ ხეხუა – ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: „... ვაჟა ეგრისელის ფიქრმიუწლომელი შემოქმედება, მერვე საოცრებაა ჩვენთვის დედამიწა-ზე...“

გულნაზ ხეხუა – პროფესორი: „... სადაც ბუმბუ-რაზ პოეტ ვაჟა ეგრისელს გაუვლია იმ ქუჩაზე გავ-ლის უფლება, როგორც მე, ისე სხვებმაც უნდა მოი-პოვონ...“

ჯემალ ჯინჯიხაძე – პროფესორი, პოეტი: „... დღეს, ვიცით, რომ მწვერვალთა შორის არის ერთი თვალშეუდგამი, სრულიად გამორჩეული პოეზიის მწვერვალი, რომელსაც ვაჟა ეგრისელი ჰქვია...“



ლელა მირცხულავა – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი – მარადისობას გამოქვეყლი და ჩვენს თანამედროვეობას სულის მესა-იდუმლედ და სიტყვის დიდოსტატად შემოხიზნული უდიდესი ქართველი მგოსანია...“

ნიკო რეხვიაშვილი – პოეტი: „... ვაჟა ეგრისელი ოცდამეერთე საუკუნის გამოჩენილი და გამორჩეული დიდი პოეტია...“

ზურაბ ქაფიანიძე – საქართველოს სახალხო არ-ტისტი.

თეიმურაზ მიბჩუანი – პროფესორი: „... ვაჟა ეგრი-სელი – ლეგენდარული კოლხეთის ლეგენდად ქცეული პოეტია და ოცდამეერთე საუკუნის ვაჟა-ფშაველაა...“

თენგიზ სვანიძე – პოეტი: „ვაჟა ეგრისელის მთელი პოეზია მინიატურული ლექსების თაიგულია, გარდასახვებით, მეტაფორა-ეპითეტებით, იდუმალი სახეებითა და შორეული – პრეისტორიული ხილვებით გაძებილი.“

სოგრატ სალუქვაძე – მედიცინის დოქტორი, პროფესორი: „ასი წლის წინათ – ილია ჭავჭავაძე წერდა:



„ვაჟა-ფშაველა არის გენიალური ფიგურა და ყველაფრით გამოირჩევა თანამედროვე პოეტებისგან.

ასი წლის შემდეგ მე სიამაყით შემიძლია გავიმეორო დიდი ილიას სიტყვები და ვთქვა: ვაჟა ეგრისელი „არის გენიალური ფიგურა და ყველაფრით გამოირჩევა თანამედროვე პოეტებისგან.“

აკაკი გვარამაძე – პროფესორი: „ოუ ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეა, მაშინ ვაჟა ეგრისელი თავისი „კოლხური ფსალმუნებით“, უუძველესი კოლხეთის მეოსტორიე და სულია ჩამდგმელია.“

განო მეგრელი – პროფესორი: „... 50,000 ათასამდე „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი, პოეტიაკადემიკოსი, ქართული პოეზიის რაინდი ვაჟა ეგრისელი თანამედროვე პოეზიის მესიაა და ჩვენ პოეტები, როგორც ქრისტეს თავისი მოწაფეები თაყვანს უნდა კცემდეთ და ვაღმერთებდეთ მას...“

მამა დიმიტრი (ლევან ჩოხელი) – პოეტი: „უფლის კარნახითაა დაწერილი ვაჟა ეგრისელის დვთაებრივი, ათიათასობით „კოლხური ფსალმუნები.“

ჯუმბერ ლეჟავა – მსოფლიო მოგზაური, მეცნიერებათა დოქტორი: „... ვაჟა ეგრისელს, როგორც ბიბ-



ლიური „კოლხური ფსალმუნების“ შემქმნელს, მე როგორც გინესის 15 გზის რეკორდსმენს, რომ შემძლოს, 30 „გზის“ მივანიჭებდი მსოფლიო პოეზიის რეკორდსმენობას.“

ბიძინა ნანობაშვილი – ისტორიის დოქტორი, პროფესორი: „ მხატვრობაში – ფიროსმანი, მუსიკაში – ფალიაშვილი, პოეზიაში – ვაჟა ეგრისელი, აი, ჩემი სათაყვანებელი სამება.“

ჯემალ დადანიძე – საქართველოს სახალხო არტისტი: „ვაჟა ეგრისელი დიდი არა, უდიდესი ქართველი პოეტია, ამაში დამარტინენა მისდამი ხალხის სიყვარულმა.“

შოთა მესხია – აკადემიკოსი: „... ახალგაზრდა პოეტმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა, ვაჟა დოლბაიამ შექმნა ისტორიული პოემა „მტკვარი“, რომლის ნაწყვეტი უნივერსიტეტი წაიკითხა რუსთაველის 800 წლის საიუბილეოდ და... უზარმაზარი აუდიტორია აღტაცებული და გაოგნებული დაგგმვა...“ 1966წ.

რეზო ჩხეიძე – საქართველოს სახალხო არტისტი:



„... ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ მეხუთე
– 1575 გვერდიანი ტომის მსგავსი წიგნი, გარდა ბიბ-
ლიისა, მე ჯერ არ მინახავს! ნუთუ ის ერთმა კაცმა
შექმნა?!“ 2014წ.

ნინო ბერიძე – მუსიკოსი: „... დრო მოვა ვაჟა ებ-
რისელს, როგორც დგომისმოსავ დიდ პოეტსა და პი-
როვნებას წმინდანად შერაცხავენ“...

რუსლან რუსია – მწერალი, ქურნალისტი: „... რუ-
დაქტორები ბევრია ქვეყნად, მაგრამ ვაჟა ეგრისელი-
ვით პოეტი – ერთი.“

რიჩარდ ნიუარმე – ისტორიკოსი, პოეტი: „... არც
რუსთაველამდე და არც მის შემდეგ ვაჟა ეგრისელ-
ლი ხმით არავის უმდერია ძველ კოლხეთზე – ე.ი.
საქართველოზე.“

გერონტი გასვიანი – ისტორიის დოქტორი, აკადე-
მიკოსი: „... სამყაროს ისტორია და პრეიისტორია
მსოფლიოს არცერთ პოეტს ეგრისელისებურად არ
აუყვანია მეცნიერული პოეზიის კვარცხლბეკზე...“

გელოდი ფოცხიშვილი – საქართველოს სახალ-
ხო არტისტი: „...ვაჟა ეგრისელი – ქართული პოეზიის
ტაძარში – „კოლხურ ფსალმუნებად“ – დანოებული



ის წმინდა სანთელია, რომლის ნათელი, სანამ კაცობრიობა იარსებებს არასოდეს ჩაქრება“...

დარეჯან ხიდეშელი – აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი: „ავთვალს არ დაენახვება აღბათ ვაჟა ეგრისელის ლეგენდარული „კოლხური ფსალმუნების“ 500-ზე, 1000-ზე, 1500-ზე მეტ გვერდიანი ოცდაათტომეტელი“.

ილია ბარამიძე – პოეტი: „ვაჟა ეგრისელი საქართველოს მზისხელა პოეტია და სიცოცხლეშივე ლეგენდადა ქცეული...“

იამზე რობაქიძე – აკადემიკოსი: „...გამოჩენილი შვერალი გრიგოლ რობაქიძე „ქარდუს“ (ქალდუს) – ე. ი. ქალდეველებს მისტიკოდა, როგორც ქართველთა ეთნარქს...“

ვაჟა ეგრისელმა პრეისტორიული „ქალდეველები“ გაგეოცოცხლა და თავისი „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათიათასზე მეტი ლექსის თითქმის ნახევარი მიუძღვნა.“

მანანა მამულაშვილი – ეკონომისტი: „მიხარია და ვამაყობ ქართული პოეზიის რაინდის – ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ ასტომეულით, ერისკაცობითა და მამულიშვილობით.“



ზურაბ ჭუმბურიძე – პროფესორი, მწერალი: „ვაჟა გერისელი – დიდ ქართველ პოეტთა ღირსეული მემკვიდრეა...“

ტრიფონ ხუხუა – აკადემია „ქალდეას“ და ფაზის საერო-სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსი: „კინოფილმი „გიორგი სააკაძე“, სადაც სააკაძის როლს ასრულებს ლეგენდარული აკაკი ხორავა – რაინდობით, ხმით და პატრიოტიზმით – დიდი ქართველი პოეტი, ვაჟა ეგრისელი „სააკაძის“ ჰეშმარიტი პროტოტიპია.“

მაყვალა გონაშვილი – პოეტი: ინდური სიბრძნეა: „თუ გწამს, თუ გიყვარს, თუ იტანჯები, შენ ადამიანი ხარ. თუ ამ სამებას ნიჭსაც დავუმატებთ, ვაჟა ეგრისელის პორტრეტს მივიღებთ, ადამიანისას, რომლის ყოველ სტრიქონში უფლის მადლი ტრიალებს. ამიტომაც დააჯილდოვა არსთა გამრიგემ ასეთი მშვენიერი ლექსებით.“

ანზორ კაგსაძე – საქართველოს სახალხო არტისტი: „ერთხელ, ვაჟა ეგრისელთან შეხვედრაზე საქართველოს სახალხო არტისტმა – რეზო ჩხეიძემ განაცხადა: „ადრე რომ წამეკითხა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“ (30000 ლექსი), მაშინ კოლხეთის (საქართველოს) პრეისტორიაზე და ისტორიაზე



მსოფლიო მნიშვნელობის ფილმს შევქმნიდი და სამყაროს გავაოცებდი, რადგან აქ ყველაფერი პოეტური ფუნჯით ისეა „დახატული“, რომ მარტო გადაღებაა საჭირო...“ ჭეშმარიტად!“

ია ქებურია – ახალგაზრდა პოეტი, სტუდენტი: „...პატონი ვაჟა ეგრისელის ათას გვერდიან ტომეულებში, ათასწლეულების ლეგენდებში მძინარე მზეთუნახავი – მითიური კოლხეთია გადვიძებული...“

რუსუდან ბერიძე – ფილოლოგი, პროფესორი: „...ვაჟა ეგრისელი მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის განსაკვიფრებელი ცოდნის (პრეისტორიული „კოლხური ფსალმუნები) გარდა ენციკლოპედიურად განათლებული პიროვნებაა.“

გივი სისარულიძე – მწერალი, მსახიობი: „... ვაჟა ეგრისელის ლექსების კითხვისას თვალები ცრემლით მევსება... ხოლო რაც შეეხება „შავლეგოს“, რომელიც ეძღვნება მერაბ კოსტავას, გენიალურია.“

ლადო ათანელი – მსოფლიო ბარიტონი: „...მეც ვუერთდები ქართველ და უცხოელ მწერალთა და ხელოვანთა ჭეშმარიტ სენტენციებს, რომ „კოლხური ფსალმუნების“ ასტომეულის ავტორი (30000-ზე მეტი



ლექსი) ვაჟა ეგრისელი თანამედროვე მსოფლიო პოეზიის უდიდესი ქართველი „ბარიტონია“...

მარი ეგნატაშვილი – გერმანისტი: „... ქართული დიადი და მარადიული სულის უდიდესი მგალობელი მგოსანია ვაჟა ეგრისელი.“

გიორგი ნოქარიშვილი – აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელი ალბათ ოქროს კალმიოთ წერს ოქრო ლექსებს...“

ნათია ჯგუშია – მწერალი, ქურნალისტი: „...ვაჟა ეგრისელის უზარმაზარ შემოქმედებას შორეული წარსულის ციდან კოლხეთში წვიმად მოსული ექვსინის პონტოს დამათრობელი სურნელი ასდის...“

რეზო კინწურაშვილი – აკადემიკოსი: „ ვაჟა ეგრისელი გარდა უდიდესი პოეტისა, უდიდესი მამულიშვილიცაა.“

პარმენ ზაქარაია – პროფესორი: „... ვაჟა ეგრისელი პრეისტორიული კოლხეთის უდიდესი „არქეოლოგი“ პოეტია...“

ბიეტა აბშილავა – პოეტი, მხატვარი: „... ვაჟა ეგრისელის ფიქრმიუწვდომელი შემოქმედება ოცდამე-



ერთე საუკუნის პოეზიაში განუმეორებელ მოვლენად
დარჩება...“

ალექსანდრე კრავეიშვილი – მომღერალი, მსოფლიო გრანპრის ორგზის მფლობელი: „... როგორც ანტიკური დიდი პოეტების შემოქმედება, ვაჟა ეგრისელის კოსმიური, უსამანო პოეზიაც, ყველა დროისა და ეპოქის უწვეულო მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული თანამედროვეობის მიერ...“

გრიგოლ გიორგაძე – აკადემიკოსი: „... არამგონია, რომელიმე სახელოვან ისტორიკოსს თავის ნაშრომებში ისე გაეცოცხელებინოს კოლხთა (ქართველთა) მოდგმის შორეული ნაშიერნი (შუმერები, ქასქები, ხათები, ხეთები და ა.შ.) როგორც ვაჟა ეგრისელმა (თავის ხუთ-ექვს სტრიქონიან) „კოლხურ ფსალმუნებში“.

ლალი წილოსანი – ფილოლოგი, აკადემია „ქალდეას“ ნამდვილი წევრი: „... მარადიულ პოეტ – რუსთაველს დაგვესესხები, რომ „მაღალი და მაღლად მხედი“ უდიდესი მგოსანია ვაჟა ეგრისელი...“

კლიმენტი კიკალეიშვილი – აკადემიკოსი: „... ვითარცა ქრისტემ იტვირთა ადამის ძეთა ცოდვა, ასევე ვაჟა ეგრისელმა თავის ლომურ ქედზე იდო ქართუ-



ლი სიტყვის ღმერთთან მსხვერპლად ამაოდ შეწირულ პოეტთა სიმბიმილი და... პოეზიის ჯვარზე ეცვა.“

სერგი ლომაძე – პოეტი: „ვაჟა ეგრისელი თავისი გენიალური „კოლხური ფსალმუნებით“ (30 000 ლექსი) “თანამედროვეობის უდიდესი პოეტი“ კი არა და... პოეზიის მეფეა...“

ლამზირა შეყილაძე – პოეტი: ჩემი დიდი ძმა, ბატონი ვაჟა ეგრისელი – „თანამედროვეობის უდიდესი პოეტია“ – ჭეშმარიტად.“

ნანა დარჩიაშვილი – პოეტი: “ვაჟა ეგრისელის შემოქმედება-მსოფლიო პოეზიის უსამანო ცაა... ბედნიერი ვარ იმ ცისქვეშეთის, რომ ვარ ბინადარი.

სოლომონ დემურსანაშვილი – მწერალი: „.... ნებარ არიან მორწმუნენი“, მაგრამ მე ვერაფრით დამიჯერებია, რომ ვაჟა ეგრისელის უბრწყინვალესი „კოლხური ფსალმუნების“ ათასგვერდიანი ტომეულები ერთი პოეტის (თუნდაც გენიოსის) შექმნილია.“

ჯუმბერ ლომინაძე – აკადემიკოსი: „ასტროლატრი პოეტის – ვაჟა ეგრისელის ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“ – მსოფლიოში ყველაზე დიდი „ობსერვატორიაა“, საიდანაც ხვდება ციურ სხეულებზე



დაკვირვება და ახალი, უცხო „პლანეტების“ აღმოჩენა“...

ანზორ ჯაფარიძე – აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი: „... ქართული პოეზიის რაინდის – ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ ათას, ათას-ხუთასზე მეტ გვერდიანი („ტიტანური“ – პროფ. ლ. სორდია) ტომეულები საოცრება და უცნაური მოვლენაა ოცდამეტოუ საუკუნის არა მარტო ქართულ, არამედ საერთოდ მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში“...

ორმან ზარანდია – ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი: „...დრო მოვა – საქართველოს და არა მარტო საქართველოს დაამშვენებს დიდი ქართველი პოეტის – ვაჟა ეგრისელის სახელობის ქუჩები და პროსპექტები.“

ლადო რამიშვილი – საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი: „...მეოთხედი საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოს ეროვნული აკადემია ამაყობს ვაჟა ეგრისელის, როგორც დიდი პიროვნებითა და უდიდესი ქართველი პოეტის სახელით“...



ცა

სიშორე და სიმარტოვე
თავზე ქუდად აფარია.
მთვარეს კარი —
სულ აქვთ ღია.
და ცა მოპგავს ჩაფარიას,*
მოფუთფუთე ვარსკვლავები
აბრეშუმის მშიერ ჭიას.

1961

* ჩაფარია (მეგრ.) მოჭრილი სიმინდის დეროებისაგან
ბაკეთებული ღობე-წნულები.

მაინც

გზას წყვდიადი მიბორკავდა,
ზვირთთა ლოდებს
ზღვა მიშენდა.
ყელს მიჭერდა ელვის ყულფი.
მაინც მოგელ ცაო –
შენთან,
დიდი „ფსალმუნებით“ უფლის.

1989



* * *

ხარჯიხვი დილის რქების ჯახანით
წუთი-წუთ გახსნის

კლდეთა დარაბებს,
პირადაბჩენილი უფსრულები
შიშს ვერ ფარავენ.

და...

ეამი, როგორც ბიჭი არაბი,
ცის უდაბნოში კუზიან მთებს
მიაქარავნებს.

1966



* * *

ვარსკვლავები?!

რასა ბრძანებ!

ცადა — ასპარეზი ორთა:

დღისით მზე და

ღამით მთვარე,

უფლის კართან სცემენ ბოლოთას.

1970



0სეპ გოლგური სული

შორს არიან და ვერ ძლევენ
და მოყვავილე სიზმრებში,
კოლხეთს ხედავენ მუდამ –
პირამიდებში ეგვიპტის:
არც სპარსების და
ბერძნების
და არც შივას და ბუდას,
არამედ ფასის¹ –
და ოდოს² –
კოლხური სული ბუდობს.

1968

¹ ფასისი (ფაზისი) – პელიოდის ვაჟი, კოლხების მამა.

² ოდო – კოლხურ პანთეონში – ერთ-ერთი მთავარი ღვთაება.



* * *

აყვავებული გველის ედემი
და ჩვენც სამოთხის კარად
ვიურვით...

გზად,
წუთისოფლის –
კბილს გვჭრის ნაყოფი,
არაფერია მარადიული,
გარდა არ ყოფნის!

1999



* * *

მთვარე მეტეხთან რომ იძირება,

არვიცი,

რატომ,

მე მგონია ნავი ქარონის;

ელვა კი მისი მისაბმელი

ოქროს საბელი.

მოდის სიკვდილი რაშის თქარუნით,

დიდი სინათლით –

სივრცეს აბნელებს.

2001



ဣကဖွေ၊ မာရာဇ်ပုံလို

ရွှေးခြင်း၊ မှန်းချေး၊ ရွှေးခြင်း –

မိမိအောင် မြတ်သွေး၊ ပို့ဆောင်ရေး

နှစ်ပို့ဆောင်ရေး၊ ပို့ဆောင်ရေး...
ဦးမြတ်သွေး၊ ပို့ဆောင်ရေး

လွှေ့ပွဲ –

မာရာဇ်ပုံလို.

1968



ლეგენდები და მითები

ვითარც მე მათ...
ალბათ მერე,
ჩემს ტოლ სანთელს დამინთებენ,
რადგან ჰქონდათ
ჩემს ძველებთან
დავა ახლებს:
რომ „ბერძნული ლეგენდები და
მითები“;
ჩემი იყო და...
კოლხეთში დავასახლე.

1968



გაშინერს

პირი შენს დღეს –

ხვალინდელს,

სასიკეთოს არ უგავს:

ხვედრს გიმზადებს საშინელს!

რადგან ღმერთს ხმობ

აუგად,

ეს კი აკრძალულია –

გაშინერს!

1922



უფლის სახელი

საკუთარ ხევდოზე ნამტირალევი,
გამთენისას ღამე

მთვარეს ამოახველებს,
იმ ქვეყნიური ამოჰყვება
შავი ნაღველი.

მერე სამყარო განათდება
უფლის სახელით,
ცა ვარსკვლავებად გამოისხამს
ლოცვებს –

აღვლენილს.

1977



ଓଡ଼ିଆତେଜ୍ଞା

ଶ୍ରୀମତୀ କୁମାରା,
ନିଜିତ ମିଥାଚାଲ –
ଅତାଶ୍ରୀଲ୍ଲଜ୍ଜୁଲ୍ଲବା –

ଶ୍ରୀ ହାତ୍ଯାକଳୀତ,
ଅକୋଟାଶି ଧ୍ୟାନ ଓ ଦୀପିକାତ.
ବ୍ୟାକିନ୍ଦାତେଜ୍ଞା –
ଥିବାରାରିତା ବ୍ୟାକିନ୍ଦା,
ଶପଦାଗାନୀଶ୍ଵର ଧ୍ୟାନରେ ରଥ
ମୀଳାକଳୀକା.

1987



პოლიტიკური უსაფრთხეები

მზის შვილისთვის მზე არის

ახლო და

მშობლური

და მისაკენ იურგის –

ბიბლიიდან მოსული

პოლიტიკური უსაფრთხეები

ბიბლიიური.

1973



ლიჭსიტაბი

ეფერებიან ერთურთს ტალღები
და ლივლივებენ,

ვით პრერიები.*

მზერა ფსკერამდე ატანს თვალების:
ლიფსიტებია თუ წყლის ნორჩი
ფერიებია,
ზღვის სილურჯეში შიშვლები რომ
დატანტალებენ...

1972

* პრერიები (ფრანგ.) ვრცელი მინდვრები.



* * *

ღამის სიბნელემ გაჲყარა!
მერე როდესაც ინათა,
 ხელი ხმალს იკრა
კრწანისმა —
 დრო დადგა მტერთან შებმისა.
და ხმები ერთად გაისმა:
მუღნის,
 ნასის და ებნისა.

1969



სერა სამყარო, მითოსური

აზრი -

აქილევსის ფარად,
სიტყვა იპყარ ხელთ
მახვილად:

მზის შვილმა და მზით მოსულმა:
- კოლხეთს თვალი აახილა,
სხვა სამყარომ, მითოსურმა.

1969



მითაზამი

კავკასიონზე ზეგსს¹ პრომეთე
ჰყავს მიჯაჭვული
და უთანაგრძნობს,
ვით ნათესავს,
ფაზისს ნილოსი.
ცისკენ იწევენ უფლის ნახვად
ცეცხლის ენები
და უპან სდევენ კიბები მარმარილოსი.
ჯერაც კოლხები პირამიდებს არ
აშენებენ.
შიშს და სიბნელეს სადღაც ბლავის
ხარი მინოსის.²

1974

¹ ზეგსი (ბერძ.) უზენაესი ღვთაება.

² მინოსი (ბერძ.) ზეგსისა და ეგროსეს ვაჟი, კრეტას
მითიური მეფე.

* * *

წყვდიადს ამეფებს ყეფა ცერძერის,
დალატს –

ბლავილი ოქროს ვერძების.
ქვესკნელს იურვის მზის ნიშიერი.
ბაყბაყ დევივით
მაინც ვერ ძღვება,
კაცთა სიცოცხლით მიწა
მშიერი.

1994



მზის სინათლის სჩეტები

გარსკვლავები, გით ადრე,
შორით გითვალთალებენ
და ტოტს მარადისობის
ისევ ისე არხევენ...
მთვარეს დავიწყებისთვის,
ხედავ არ ემეტები,
დრო მოვა და მზის შვილი,
მზეში დაიმარხები
და ძეგლად დაგედგმევა
მზის სინათლის სვეტები.

2000



* * *

რა უნდა იყოს მასზე დიდი
ბედნიერება:
მოულოდნელად აფეთქდება გული,
ვით ნაღმი.
და ჩაგესმხვრევა თვალთა მინები.
ო, რა კარგია,
სამშობლოზე ფიქრებით დადლილს,
მარადისად რომ ჩაგეძინება.

2001



* * *

გზა შორია და ბნელზე – ბნელი,
ვითარცა თვალები ბელზებელის.

ბაღია სიზმრებით ნაქარგი,
რომელზეც ფიქრები მაწვალებს.
და.... თუ სიკვდილის გზა
დაგვარგვე,
ჩემი იქ მყოფი,
ხუთი ძმა მიმასწავლის.

1991



სამშობლო – შენი მოდელია

ელგის ელგარე შოლტებით,
ქარები ღრუბლებს მოდენიან...
მთვარე ცას შორდება.
ვიღაცა მდერის „ოდელიას.“
ოდოს* ძეგ!
ოდოს ნაშობო!
სამშობლო – შენი მოდელია
ოჯ...
შენა ხარ სამშობლო!

2005

* ოდო – მთვარის დვთაება პრეისტორიულ კოლხურ
პანოვონში.



* * *

იქ – პონტოს ზღვის სანაპიროს,
სიკვდილი კვლავ ჩანს იაფად.
გულში ეტირება პიროსს.¹

რაღგანაც სპა აიკაფა.
რამზესი² რამ გააკვიროს,
ან ქვისგულა კაიაფა.³

1993

¹ პიროსი – ეპირის მეფე (ძვ. წ. აღ. 319-273).

² რამზესი – ეგვიპტის ფარაონი (ძვ. წ. აღ. 1350-1205).

³ კაიაფა – იუდეველთა მღვდელთმთავარი, რომელმაც
შეაპყრობინა ქრისტე, რათა ჯგარს ეცვათ.

* * *

შუალამისას, სადღაც ელვა,

გურანტელად მთებს

დაუგლის.

იწონებენ თავს ღრუბლების

კუნძულები:

ათასფერად შეთვალული –

ალუბლების თუ გარსკვლავთა

კუნწულებით.

1987



* * *

(ხმა)

ორმოცს უახლოვდები,
საით მიხვალ
მშვიდი – სვლით,
ვით დაჭრილი ირემი.
მაინც განიგმირები,
კუპირონის* მშვილდ-ისრით.

1967

* კუპირონი – სიყვარულის ღმერთი ბერძნულ
მითოლოგიაში.



* * *

ღომის ქვაბი კი კიდია ლარჭას,
და ელოდება შუა ცეცხლთან
შერთვას.

ალი გადასწევს კვამლის შავ ფარდას.
და ასჯერ ნანახს ისევე ხედავს:
რამდენჯერ საცერს

შემოკრავს დედა,
იმდენჯერ ცვიგა ნისორზე თეთრად.
ფქვილი კი არა,
სიმინდის დარდი.

1986



გარინდებულა ზეცის ტაძარი

ზღვა ქარის ხმაზე სუნთქვას
ასშირებს,
ტალღების ცემა ისმის ტაშივით.
მთვარე შუალამის ბურანში
ყვინთავს.
და ვარსკვლავები შეხმობია სიშორეს
ყვითლად,
გარინდებულა ზეცის ტაშირი.*

1986

* ტაშირი – ღია, გაშლილი ადგილი მთებს შეა.



პაპა

დამიჯენდა მუხლზე პაპა
ბავშვს,
და მიამბობდა ხშირად:
— დრომ, ცხრათავა გველეშაპმა,
ურარტუ და ბაბილონი
გადაყლაპა,
კოლხეთი კი ყელს ძვალივით
გაეჩხირა.

1964



ჩემი სამშობლო – მამული

ვითარცა ვაჟა იტყოდა:
ჩემი სამშობლო – მამული,
ვეღარ იქცევა დუქნადა!
და მტერიც ვეღარ იბუქნებს,
როგორც ის ადრე ბუქნავდა.

2006



შოურდ ღარეპაშე

ძილის ბილიკებით მოსული,

ბრმათათვის ცხადია –

სიზმარი.

გული გაარჩევს ვარდისგან

ნარ-ეკალს.

და.... ეშინიათ მოკვდავებს

იმ ზარის,

რომელიც უთუოდ დარეგავს.

2007



1941-42-43-44-45

ომია...

ქვეყანა იქცევა...

აწმყო ხმას არ იღებს!

(ამით სახელი შეიღახა)

და სცივათ ტიტლიკანა თარიღებს.

მალე მომავალს,

წარსული წაიღებს

და ხსოვნის სკივრში შეინახავს.

1999



საქართველოს მდინარეები

ახლა სხვაა...

სურთ მნახველი გადარიონ,

სიტყბოსა და სიანკარეს

ყველა ჩემობს.

არ იციან...

რომ ალაზანს,

მტკვარს და რიონს,

ადრე პქონდა სხვაფერი და...

სისხლის გემო.

2005



იქნებით ორი

ამაოება სადაც მთავრდება
იქ,
სოფლის ბოლოს –
(ლოდინით დაღლილი).

გიცდის დიდება.
შენ და დიდება! –
იქნებით ორი.

მერე ორივე ცისარტყელად გაიხიდებით
ცას და მიწას შუა,
წარსულსა და მომავალს შორის.

2005



აზხაზეთს და სამაჩაბლოს

როგორც ჩვენი წინაპრები!

(მომხდურმა რომ არ დაგვჩაგროს!)

დავაქუხებთ:

ბუბნე,

ნაღარას, და

წინწილას)

აფხაზეთს და სამაჩაბლოს,

ვერ წაიღებს მტერი (ქორი!)

ვით წიწილას.

1993



* * *


(ქსკოზი)

ადამის მოდგმის,
სულ პირველი
ჭირისუფალი,
კოლხეთს და ქიმეთს¹ –
რკინას რომ ჭედს – არის თუბალი².

1971

¹ ქიმეთი – ეგვიპტის უძველესი სახელი.

² თუბალი – ქართველური ტომი.



60წო გაბადოპილი

კოლხეთისკენ მომავალ

ნინო გაბადოპილს –

მოსძახის და

მოკივის:

ქრისტეს ოწმენა...

ერთ-სისხლი –

კოლხეთ-გაბადოპიის.

1973

* * *

ოქროს ათასწლეულები,
ზღვა, რომ ქარის მხრებით
ზიდა,
მზის შუქზე რომ ფეთდებიან.
და „კოლხური ფსალმუნები“ –
ამოყრილი პონტოს ზღვიდან,
სულ „კოლხური თეთრებია“.*

1987

* „კოლხური თეთრი“ – ფულადი ნიშანი (ჩვ. წ. აღ. VI b.).



ქალდეველები*

„შუმერები, აქადები,
აბორეველები, არამელები
თუ ასირიელები – ქალდეველები არიან“.
სარპად ჯამო (გატიკანი).

ჯერ ბერძენთა ხმა არ ისმის...
ოქროსფერი ადევთ ველებს.
თუმცა უფალი პირს არიდებს –
ცისკენ მზირალ პირამიდებს
და...
მათ შემქმნელ ქალდაველებს.

* ქალდეველები – უძველესი ქოლხური (ქართველური) ტომი.



თოვლის დედოფალი

ლრუბლებს მოწყურდათ ხმა ჩანჩქერების,
მნათთა სიმაღლე

ქედებს მოშივდათ.

ერთურთს გადახედეს იჭვით მთებმა.
შორს,

ცად აღმართულ მყინვარწვერის
ბროლის კოშკიდან,
თოვლის დედოფალი იჭვრიტება.

1972



ღიუღაშ

გერგეზი¹ ქლდეს მიჯაჭვული,
მთებს სინათლეს ასწავლიდა,
თუმც ღმერთებმა მიუდამეს.
მაინც ისმის –

აღსავლიდან
ხმა და სუნთქვა ღიუღაუს.²

1967

¹ გერგეზი (მეგრ.) – გმირი.

² ღიუღაუ (მეგრ.) – გარიურაჟი.



ქარები და გარსკვლავები

ქვესკენლებიდან ამოსულები –
ქარები მდუმარ ზღვას
ალხილინებენ
და ნაპირებთან მიაქვთ ენები.
გარსკვლავები კი დამის შავი
ბალდახინებით,
თავიანთ თავებს დასავლეთით
მიასვენებენ...

1979



ანთარი

რჯულსა და რწმენას
ართმევდნენ
და უხდებოდათ ომები...
ათას ურჯულო ტომებთან,
დღე და ღამ, ზაფხულ-ზამთარი.
მაგრამ არასდროს ტოვებდა
კოლხეს,
ზღვა და „უინი ანთარი“.*

1996

* უინი ანთარი (მეგრ.) – ზედა ლმერთი.



პედაგოგი მმათა სასაფლაოზე

შიშისფერ,

ცივ სიმყუდროვეში,

რომ გადააბიჯებ სიკვდილის

კარიბჭეს,

მოისმის ფოთლების ვეღრება:

– სიცოცხლეს! –

თქვენ ღმერთი განიჭებთ,

მოკვდანი არ იქცეთ

ზე-მკვდრებად!

1992



ორი პიკლოპი

ვითარც ორმუზდი¹ და არიმანი,
 ქს ცა და მიწა
 ერთურთს შებმია,
 ყოფნა, არყოფნის იმტვრევა კარი.
 დღე და ღამე – კიკლოპებია.²
 დღე – მზის ცალი თვალით,
 ღამე – ცალი თვალით
 მოვარის.

1969

¹ – ორმუზდი და არიმანი (სპარს.) ბოროტი და კეთილი სული.

² კიკლოპები (ბერძ.) მითიური ცალთვალა ბუმბერაზები.



სინამდვილე და მითებია

კოლხეთის წარსულს რომ ანათებენ –
ეს სინამდვილე და
მითებია,
მათთან დამეები მითევია.
და განა ჟამთადენა
კოლხს გადაღლიდა,
რომ ლეგენდები მოეტანა
ათასწლეულების გადაღმიდან.

1982



გარსკვლავების ყვავილები

მიმწუხარის ცის მინდორზე –

არც ხე ჩანს და

არც ბუჩქი.

მაგრამ გულში გაივლებს

და მერე ცა გაფურჩქნის

გარსკვლავების ყვავილებს.

1988



მესაზევები

ასევა,

სამეგრელოში

იწვიმებს,

იკოგისპირებს,

სანამდე მესეფები.*

დაუბრუნდება ზღვებსა და

მათ მომლოდინე წყლისპირებს.

1971

* მესეფები – ნადირთ დგთაებანი.



ဒု၊ ဧ၊ မာ၊ ဂါရီ၊ ဒု၊ ဧ၊ မာ၊ ဂါရီ

မတွေ့ကြောင်း ဖျော်များ လှိုင်းလှိုင်း၊

အရပ် အဖွဲ့အစည်းပေါ်၊

အရပ် အလှိုင်း....

မဝါယာ ပို့ဆောင် မောင်နာင်၊

ရောက်ရောက် ပြောပြောပေါ် သာသနများ၊

လာမ်း ကို အဖွဲ့အစည်း ဒု၊ ဧ၊ မာ၊ ဂါရီ၊

ဒု၊ ဧ၊ မာ၊ ဂါရီ – မောင်နာင် သာသနများ.

1979



* * *

მზის ძახილი სადღაც იხმის

და ედება ფერი ლილის

ცას –

მთიების სამოთხეს.

ზღვას უჭირავს სული კბილით,

მალე უნდა აღმოხდეს.

1976



ან, თორი და თუთარჩელა

განათებულ კოლხურ ცას,
 ბნელ წარსულის ღამიდან,
 სინათლეს კვლავ მატებენ:
 ან,¹
 თორი² და თუთაშ-დღა,³
 დიანა⁴ და არტები.⁵

1966

¹ ან – მთვარის დვთაება (რ. პატარიძე).

² თორი (ინგლისურ კილოზე) მთვარე.

³ თუთაშ-დღა (მეგრ.) მთვარის დღე (ორშაბათი).

⁴ დიანა – მთვარის, ნადიორბის ქალღმერთი.

⁵ არტები – მთვარის უძველესი სახელწოდება (ა. ლამბერტი)



* * *

შემოღობილი ელვის ელვარე
მავთულხლართებით,

ცა-ციხეა და
გარსკვლავები სხედან ქურდებად.
და ვით უამთა ტყვე-ხელაწეული,
ათასწლეულებს მისდევ
უხმოდ ათასწლეული
და...

გოლხთა დიდი ისტორია
უდაბურდება.

1969



ზიღვა: მეღვა

გჭვრებ: იოლკოსში,
 ვიდაც ჩორქნის არგოს
 რიკულებს...
 აქ, პი კოლხეთში –
 უდრტვინველად
 თვალში მიყურებს
 მედეა,
 ვისაც გულში უდევს თურმე
 ღალატი.
 და... მერე სამიათასწლეულის –
 ხსოვნის ფიალას მაწვდის
 საგსეს შხამ-სამსალათი.

1968



ხილვა: ლაზები

ეამთა ზღვაში უსვამენ ნიჩბად
ათასწლეულებს
და ზაგროსის მთებიდან¹
ტიგროსით და ევფრატით
ხომალდები ლაზური,
კოლხეთს ეზიდებიან
სერდოლიკს² და ლაზურიტს.³

1967

¹ ზაგროსის მთები – მესოპოტამია.

² სერდოლიკი – წითელი ქვა.

³ ლაზურიტი – მწვანე ქვა.



დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი!

უამი უნდა განვგმირო,
გერ დამასწრებს სროლას
ოს.

და ხმალს ვგავართ ალესილს.

წარსულიდან კოლხურად –
პითაგორას ხმა მესმის:

– დო, რე, მი, ფა, სოლ,
ლა, სი.

1972



ა. გ.

* * *

ჩადრიანი ღამეები,
ვარსკვლავების ელვარ ქვერით,
გაზაფხულის კარს აღებენ.

და...

კოდია ცაზე მოვარე,
ვითარც უფლის გასაღები.

1961




* * *

ისტორიის უდრანებში –
მგლისთვალებით გაიელვებს
ქასქები¹ და
ტიბარები,²
რომლებიც კვლავ იბარებენ:
ცალფაქლო³ და ხაიელებს.⁴

1972

^{1,2,3,4} – ქოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები.



* * *

მოველ ტირილით...

და რომ მენახა

გამჩენი,

ცის ლურჯ ლაჟვარდს შევხედე.

ძირს ღრიანცელი იდგა

ბელტების,

და... საწუთროში წამიერად

შემოვეხეტე,

ახლა იქით კი –

სამუდამოდ მივეხეტები.

2003



ზეგსურეთში

ჯვარობაა...

არხოტიონს,
წინ მიუძღვის არქიელი,¹
სახლში აღარავინ რჩება:
არც პატარა,
არც ხნიერი,
უფლის ხილვას ელოდება
ამღაცა² და არხიელიც.³

1964

¹ არქიელი – მღვდელმთავარი.

^{2,3} – ხოფლებია ხევსურეთში.



ტალღა

მოგეპარება მგლურად,
ცბიერია და უნდო,
ვითარცა თათრის აღა.
ფრთხილად!
ერიდო უნდა!
მგლის მუხლი მოსდევს ტალღას.

1985



* * *

მშობლიური სამოთხიდან

აყრილან უსახლკარონი,

გზა შორი და...

ულევია...

მთვარე – ნავია ქარონის,

ვარსკვლავები –

გარდაცვლილთა სულებია.


1966



სეზედაგლე

ისმის დევთა ღრიანცელი...
და ზღაპრებში მიმალული
თაგვი ტუჩებს აცმაცუნებს:
— ამ შხამს სპილოთ მეფე დალევს.
არც ბადრი ჩანს,
არც ცამცუმი,
გზას გაჰყურებს სეფედავლე.

1974



* * *

ღამის ტოტებზე უცებ ვარდისფრად
ელვა,

როდესაც გაინასკვება.
როცა ღრუბელი მთვარის ქოქით
წვიმას მოზიდავს,
მინდვრად ყაყაჩოს სისხლი
წასკდება,
გამოიხედავს ზღვა მიმოზიდან.

1979



ჩე გოლა

შავი ზღვა თურმე ყოფილა
გარსკვლავთა კალმით ნაწერი,
მე კი ეტრატი მეგონა.
ო, როგორ შვენის ჩე გოლას* –
ნისლის ჭაღარა თმა-წვერი.

1994

* ჩე გოლა (მეგრ.) – თეთრი თმა.



* * *

როდესაც ზღვა აღელვებას,
გულში უჩუმრად გაივლებს
და ქარიც გაიაპრიალებს,
გაირინდება კულევი.
მოაწყდებიან ნაპირებს –
წყლაში დამხრჩალთა
სულები.

1972



შაველესი პოლემია

ათასწლეულების ნისლით,
ჩემს დიდ წარსულს
ვიღაც ნიღბავს
და უამიც მოუხელთია.
მაგრამ ვიცი:
ამ უღრანი დამის მიღმა,
ჩემი დიდი,
უძველესი პოლხეთია.

1974



სამი გოლიათი

სულ ომობენ...

და სიმშვიდე,
არასოდეს არ ჰქონიათ,
ბრძოლის ქარ-ცეცხლში შეფუთვნილს.
სამ ტყუპისცალს,
სამ გოლიათის:
გელათს,
ბაგრატს
და გეგუთის.

1979



* * *

ხორგა,

ხორგუ-მდიდარია....

და სოფელში მოასწავლეს,

ერთი ვინმე უპოვარი,

ბრძა და ყრუი,

რომელმაც თქვა:

იცთ?

სიკედილს მოასწავლებს,

ეს ძაღლი რომ ცას

შეყმუის!

1976

* * *

ქრისტე ქრისტეა –
 მიწით ცამდე ამაღლებული,
 მაგრამ ჩვენ ვიცით,
 იოგანე ნათლისმცემელი.
 უკვდავია, ჰოდა ბუნება,
 მოკვდავთ ბევრჯერ
 აღაფროვანებს,
 რომ იშრიალოს ქეგუნად რწმენის
 ხოდაბუნებმა.

1989



* * *

მკრთალი სინათლის ჩუმი
ლიდინით –
ლამის კარვიდან მთვარე
გამოდის,
თავწაკრული და მკერდგალედილი,
მზესთან ნაწოლი
და ნაწაწალი,
რომელსაც ქარი მოსდევს წანწალით.

1989



პოლიტიკურ მითებას და ლეგანდებას

1987



* * *

გაქვავებულ ჟამს როცა
შეგცემი,
მარადისობის გზებით
მიმავალს,
გამაგებინა,
ურევია აქ ხელი
კისი?!
ან ეს კიცოდე,
ცა რად გვიმალავს,
დამით მზესა და მთოვარეს დღისით?!


1989



* * *

ბებერ ძვლებს ვითბობ
და ვეფიცხები,
ცხოვრება თითქოს და ბუხარია.
სიცოცხლეს –
სიცოცხლე და,
სიკვდილს – სიკვდილი უხარია.

2007



ხან ალგიორნს და ხან ქიოს

დუნიაში მიმობნეულს
აშ კოლხურ სულს
უნდა სდიო...
ლოცვა აღვუკლინო ოდოს,¹
ხან ეგვიპტის უდაბნოში,
ხან ალბიონს²
და ხან ქიოსს,³
ანატოლიას⁴ და როდოსს⁵

1966

¹ ოდო – უძველეს ქოლხთ დვთაება.

² ალბიონი – ინგლისი ძეველი სახელწოდება.

³ ქიოსი – კუნძული ხმელთაშუა ზღვაში (ძვ. წ. აღ. VIII ს.).

⁴ ანატოლია – თანამედროვე თურქეთის აზიური ნაწილი.

⁵ როდოსი – კუნძული ხმელთაშუა ზღვაში (ძვ. წ. აღ. VIII ს.).

* * *

ვინც დაეძებს ის პოულობს,

ნემსის ყუნწმი უნდა

გაძვრე –

ხმა მოისმის წარსულიდან

და... პა, ჩემო,

გეც გიპოვნებ:

პოეზიის ციხე-ტაძრის

ამგები და მეციხოვნე.

1963



* * *

პონტოს პირს დამჯდარი,
ვით უცხო ფრინველი,
პირველყოფილი მზით
მოსილი,
საოცარი და საკივრველი
კოლხეთი —
პირამიდაა პირველი,
უფლის ხელით ნაგები...
და არა ჯოსერის.*

1967

* ჯოსერი — ეგვიპტის ფარაონი (2650-2609). (პირველი
პირამიდის ამგები)




სიკვდილი

ხელო ნიჩაბი უჭირავს და,
ზურგზე ადევს შავი ლოდი,
წარსულ დღეთა გვითვლის ვალებს
და...

სიკვიდილი ხან ახლო და
ადრე მოდის,
ხან შორიდან სიყვარულით
გვითვალთავალებს.

2020



ამირანის და შამარის

ზღვაა —

შენი აკვარელი,
